ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წითელი
არმიელი

გაზეთი გამოდის კვირაში ორჯერ მასალები მიიღება რედაქც. 9—3 საათ. ყოველ დღე. რედაქ. მისამ.: საპიორ. ქ. № 30. მეორე სართული.

ფასი 5000 მანეთი.

კვირა, 20 აგვისტო 1922 წ.

№ 73 ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ორგანო № 73

წითელ-არმიელნო!
ებრძოლეთ დეზერტირობას თქვენს რიგებში!

კოოპერაცია.

ერთ მთავარ საკითხთაგანს ეხლახან დასრულებულ რუსეთის კომუნისტურ პარტიის კონფერენციისას, წარმოადგენდა კოოპერაცია და მისი განვითარების საკითხი.

და ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან კოოპერაცია უკვე დღესაც თამაშობს ერთს მთავარ როლს,- როგორც საწარმოვო ძალების, ისე გლეხური შინა-მრეწველობის გაჯანსაღების საქმეში.

ჩვენი მსხვილი მრეწველობის აღდგენა და განვითარება (რომელიც არის ერთი უდიდესი ფაქტორი, პროლეტარული დიქტატურის განმტკიცებისა) არის ამავე დროს სასოფლო მეურნეობის და შინა-მრეწველობის აღორძინებაც, რომლის გამო ჩვენ შეგვიძლია უმტკივნეულოთ მოვაწყოთ საქონლის გაცვლა-გამოცვლა ქალაქსა და სოფელს შორის, ურომლისოდაც ჩვენი ინდუსტრიის განვითარების საქმე მხოლოდ ფიქცია იქნება, და აი, ამ სოფელსა და ქალაქს შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლის გამოცოცხლების და მოგვარების ერთ მთავარ საშვალებათაგანს წარმოადგენს კოოპერაცია, რომელიც მთავარი რეგულიატორია ამ საქმის მოწყობისა. კოოპერაც. რომელიც ხელსაყრელ ფასებში აძლევს წევრებს საქონ. ბუნებრ. თავის ირგვლივ იკრებს მშრ. ფართო მასას და ამით კი ქალაქის მუშას აახლოვებს სოფლელ გლეხთან და მათში ქმნის ისეთ ატმოსფერას, რომელიც აშკარათ ღაღადებს, რომ დამოუკიდებლათ ერთი მეორესთან როგორც გლეხს, ისე ქალაქელ მუშას თავის ცხოვრების მოგვარება არ შეუძლია, რომ მათი სასიცოცხლო ინტერესი ერთი-მეორეზეა გადანასკვული და სხვა. მაგრამ, ერთ-ერთი მთავარი მიზეზთაგანი კოოპერაციისა, არის სპეკულიაციის წინაალმდეგ ბრძოლა კონკურენციის გაწევით და, რამდენათ ძლიერი იქნება ეს ბრძოლა და კონკურენცია (რაც დამოკიდებულია რასაკვირველია ფართო მასის შეგნებულ დამოკიდებულებაზედ კოოპერაციისადმი) იმდენათ პირველი მოთხოვნილების საჭირო საგნები ხელმისაწდომი გახდება მომხმარებელთათვის, რაიც, თავის თავად ცხადია ცხოვრების პირობებს გააუმჯობესებს.

მაშასადამე, კოოპერაცია, რომ ფეხზე დადგეს და მტკიცეთ ემსახუროს თავის დანიშნულებას, საჭიროა მიექცეს უაღრესი ყურადღება თვით მშრომელი ფართო მასიდან და საზოგადოებიდან, რაიც კოოპერაციას ფართოთ გააშლევინებს ფრთებს აწეწილ-დაწეწილ ეკონომიური მდგომარეობის გამოსაჯანსაღებლათ.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებით, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში, სადაც თავი წამოჰყო კერძო ინიციატივამ ვაჭრობა-მრეწველობის სფეროში, კოოპერაციის ფართოთ განვითარების აუცილებლობა იმ თავიდანვე მიღებულ იქნა და, აი კიდეც ვხედავთ ჩვენ, რომ როგორც რუსეთი, ისე საქართველო მოფენილია მთლიანი მუშათა კოოპერატივების ქსელებით.

ასეთივე კოოპერატივების ქსელები დავიწყეთ ჩვენი ჯარის ნაწილების მოფენაც, რომ კერძო-ვაჭრობა-სპეკულიაციის ბასრი კლანჭების მსხვერპლი არ გამხდარიყვნენ ჩვენი წით. არმიელები და მათ რიგებში მომუშავე ყველა მუშაკები.

ამისთვის იყო რომ იმ თავიდანვე საძირკველი ჩაეყარა საქართ. ჯარის სამხედრო კოოპერატივს თბილისში, რომლის შემდეგაც ჯარის ყველა ნაწილში გაიხსნა კოოპერატიული სავაჭროები.

ამ კოოპერატივების წევრნი და სულის-ჩამდგმელნი თვით წით. არმიელებია, რომლებიც ბაზართან შედარებით სულ იაფ ფასებში შოულობენ თავისთვის საჭირო საგნები და სურსათ-სანოვაგეს.

მაგრამ ყველა ნაწილში, რამდენათაც ვიცით, კოოპერატივის საქმე ვერა დგას თავის სათანადო სიმაღლეზე, რაიც, რასაკვირველია, თვით წით. არმიელების და პარტიული მუშაკების კოოპერაციისადმი არა ენერგიული მოპყრობით შეგვიძლია ავხსნათ ამისთვის ჩვენ მოუწოდებთ ყველას, როგორც თვით წით. არმიელებს ისე მათ რიგებში მომუშავე ყველა პარტიულ და არა პარტიულ ძალებს მიაქციონ უაღრესი ყურადღება ჩვენი ჯარის სამხედრო კოოპერატივებს, რომ იმათმა მიღწევამ სრულ გამარჯვებამდე სპეკულიაციის წინაალმდეგ გამართულ ბრძოლაში, შეუმსუბუქონ ცხოვრების პირობები ჩვენს წით. არმიელებს. რის გამო თვით ჯარის თვისების ამაღლოებაც ჩქარი ტემპით წავა წინ, საბჭოთა საქართველოს საკეთილდღეოთ.

პ აჯნ ი.

წითელი პრესა

როგორც უკვე იციან ჩვენმა მკითხველებმა ლონდონში გაიმართა ანტანტის სახელმწიფოთა თათბირი. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს თათბირიც უბრალო წყლის ნაყვა გამოდგა და გუშინდელი „მოყვრები“ დღეს მოსისხლე მტრებათ გადაქცეულნი ვერაფერი გზით ვერ მორიგდნენ. „კრასნი ვოინი“ ეხება ამ საკითხს და შემდეგს სწერს:

„რა იყო საბაბი მათი შეუთანხმებლობისა?-აი რა: ლოიდ ჯორჯმა წინადადება შეიტანა გაეგრძელებიათ ვადა გერმანიისათვის მორიგი გადასახადის შესატანათ რადგანაც, გერმანია ისედაც უფსკრულის პირას იმყოფება. პუანკარე ამაზე არ ეთანხმებოდა თავის კოლეგას და მოითხოვდა გერმანიისაგან რაიმე „გარანტიებს“, იმ შემთხვევაში თუ ვადას გაუგრძელებდნენ. შეთანხმება ვერ მოხდა და თათბირი გადასდვეს მომავლისთვის ალბათ იმ იმედით, რომ ბოლოს პუანკარეც მოლბება.“

ტყუილი იმედია!

„კუზიანს მხოლოთ სამარე გაასწორებსო“ ამბობს ქართული ანდაზა.

მენშევიკებს ძალიან ხშირათ უყვართ ხალხის კეთილ დღეობაზე ლაპარაკი. ვოლგის მხარეზე თავდატეხილ სიმშილობის გამო, მათ მთელი კამპანია აწარმოეს საბჭოთა რეჟიმის წინაალმდეგ. იმათი ლოლიკა ცარგსა და ცუდს ამინდისაც ლამის ბოლშევიკებს აბრალებდა.

საინტერესოა, თვითონ რა გააკეთეს იმ დამშეულ მილიონ სიცოცხლის საკეთილ დღეოთ, რომლებთაც ისინი ასე „თავდადებით“ იცავენ. ამის შესახებაც მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის იგივე გაზეთი „კრასნი ვოინი“.

„მეორე ინტერნაციონალის მხრივ დამშეულთათვის დახმარება გამოიხატა ბოლოს და ბოლოს 50 ვაგონი პურის გამოგზავნით და 40 ვაგონი კი ჯერაც გზაშია.“

ამ დახმარების მეტი ვერ „შესძლო“ იმ ორგანიზაციამ, რომელსაც მთელი ქვეყნის მუშათა შტაბათ მოაქვს თავი.

ლონდონის თათბირი.

ლონდონის თათბირის დასასრული.

ნაუენი, 16 აგვისტო (რადიო) ვინაიდან გამოირკვა, რომ ყოვლად შეუძლებელია რაიმე შეთანხმება. კონფერენცია დაიხურა 14 აგვისტოს.

გათიშვის ერთ-ერთი მუხლი იყო საკითხი გერმანიის საკონტრიბუციო საბოლოო გადაწყვეტის ვადის გაგრძელების შესახებ გერმანიისათვის მორატორიუმის მინიჭებით. პუანკარემ უარყო ყოველგვარი მორატორიუმი გარანტიების გარეშე, რომელთა რიცხვში მნიშვნელოვნად ითვლება გერმანიის ტყეებისა და მადაროების შემოსავლის კონფისკაცია.

ახალი კონფერენცია.

ჰანოვერი. 16 აგვისტო (რადიო) ლონდონის თათბირზე გადაწყვეტილია, რომ შემდეგი კონფერენცია მოხდეს ბრიუსელში ნოემბერში.

მოსკოვი, 17 აგვისტო (რადიო) ლონდონის კონფერენცია უნაყოფოდ დამთავრდა პუანკარეს ჟინიანობის გამო.

ქრონიკა.

— **დაიბეჭდა და გამოვიდა**, ჩვენი რედაქციის გამოცემა № 1 „რა არის კომუნა“, ვატინისა. ჯარის ნაწილებს ეს წიგნაკი დაეგზავნებათ უფასოთ.

— **მოკლე ხანში** ჩვენი გაზეთი „წითელი არმიელი“ იწყებს გამოსვლას ყოველ დღიურათ.

— **13 აგვისტოს** დილით გარდაიცვალა ჩვენში კარგათ ცნობილი პროფესორი სიმონ ავალიანი, რომელიც დაასაფლავეს კვირას 15 აგვისტოს.

— **16 აგვისტოს**, რუსთაველის პროსპექტზე მამფორიას აფთიაქის საწყობში შევიდა ვიღაც უცნობი, მოჰკლა თვით მამფორია და თავიც მოიკლა. მკვლელობა რომანიულ ნიადაგზე უნდა იყოს.

— 21 აგვისტოს შესრულდება ჩვენი გაზეთის „წითელი არმიელის“ არსებობის ერთი წლის თავი. ამ დღის აღსანიშნავათ გამოვა „წითელი არმიელის“ სპეციალური ნომერი. ამხ. წითელ-არმიელებს რედაქცია სთხოვს დაჩქარებით მოგვაწოდონ ამ ნომრისთვის შესაფერი მასალები.

— ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო დღევანდელი ჩვენი გაზეთი გამოდის ერთ ფურცელზე.

— სამხედრო პოლიტიკური კურსები. კურსების მესამე გამოშვება დამთავრდა ა. წ. 6 აგვისტოს. მუშაობა სწარმოებს მე-4-ხე გამოშვების შესადგენათ მეცადინეობის დაწყება განზრახულია ა. წ. 1 სექტემბრიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა 73



ჩვენს წითელ ჯარში

წით. არმიელების დახმარება კამოს სახელობის სახლს.

ქართული ლაშქრის პოლიტ-განყოფილების ინიციატივით იქმნა შემდგარი საორგანიზაციო მომწყობი კომისია, რომელსაც დაევალა მოეწყო საღამო ქარ. ლაშ. ცენტ. წით. კლუბში, რომლის შემოსავალი უნდა მოხმარებოდა, კამოს სახელობის საბავშო ბაღს, საღამო მოეწყო 30-თ ივლისს. დაესწრო დიდ ძალი ხალხი. წმინდა შემოსავალი, აღემატება 140 მ. აღნიშნული ფულები და (არის კიდევ სხვა და სხვა შემოწირულება ნივთებით) და ნივთები ამ დღეებში გარდაეცემა ქ. თ. აღმასკომს.

საორ. მომწ. კომ.

წევრი სიკინჭალაშვილი.

სამსახურით სარგებლობა.

თბილისის მცველ მხლებელთა ათასეულში მოიპოვება მეუფროსეთა შემადგენლობაში ისეთი პირი, რომელიც მხოლოდ არის აღნიშნულ ათასეულში რომ კერძო სარგებლობისათვის იმსახუროს და ატაროს სამსახურის სახელი მუშურ გლეხურ წითელ არმიელისა, მაგრამ ჩვენ წითელ არმიელები არ მივცემთ საშვალებას ასეთ პირებს, რათა მხოლოთ თავის კერძო საქმისათვის გამოიყენონ სამსახური და არა მუშურ გლეხურ მთავრობისათვის ამიტომ მივაპყრობთ ყურადღებას ვისგანაც ჯერ-არს რათა ესეთი პირები იქმნან ჩამოშორებული წითელ არმიელების რიგებიდან.

და არ ქონდეს საშვალება ისარგებლოს კერძო მიზნისათვის წითელ არმიელის სახელით.

სამხკორი კინო.

თბილისის მცველ მხლებელთა ათასეულში.

შაბათს 12 აგვისტოს ზემო ხსენებულ ათასეულში გაიმართა შაბათობა. დასუფთავებული იქმნა ათასეულის წინ მდებარე მინდორი რამდენიმე წლობით დაგროვილ ნაგავისაგან.

მუშაობდნენ ყველა წითელ-არმიელები. განსაკუთრებულ ყურადღების ღირსნი არიან: გუნდის თავი ამხ. ყანჩაველი. რომელიც მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა მუშაობაში; აგრეთვე უფროსი ამხანაგები: შალვა ყიფიანი და ქელიძე გიორგი.

აღსანიშნავია, რომ რამოდენიმე უფროსმა ამხანაგებმა, მიუხედავად იმისა, რომ მუშაობის დროს დაესწრენ და იქ იყვნენ, მაინც არ მიიღეს მონაწილეობა მუშაობაში; შომუშავე წითელ-არმიელები უცხადებენ მათ საყვედურს.

სამხკორი კინო.



ყუმბარა

საკომენდანტო გუნდში

> „საგუშაგოდან დაბრუნებულ წით.-არმიელ მიქიაშვილს საწოლ ქვეშ მოპარული კარტოფილი უნახეს“.
>
> „წ. არმ.“ № 68.

საკომენდანტო გუნდში
ბევრჯელ იყო ქურდობა
და ამის გამო მუდამ
ჩვენ შორის დაუნდობა.

—

ხშირად იკარგებოდა:
პური, „კატელოკები“,
მაგრამ ქურდი ვერ ვნახეთ,
რომ აგვეწვა ლოყები.

—

რა პოლიტ-მუშაობა
გაჩაღდა ჩვენს გუნდშია,
ქურდობაც აიბარგა—
იმალა ბინდ-ბუნდშია.

—

და ეს კვლავ განმეორდა
(კარგა ხანს არ ყოფილი)
მიქიაშვილს უნახეს
საწოლ ქვეშ კარტოფილი.

—

ამ საქმით აღაშფოთნი
ვითხოვთ იმის ალაგმვას!
რათა მას მიეჩინოს
ბინა ქურდთა ალაგას!

პიტა!

სპეკულიანტების სიმღერა.

სხვებმა ხნან და სხვებმა სთესონ
ჩვენ ამისთვის არ გვცალია
ჩვენი საქმე არის „ნეპო“
პოლიტიკა—ახალია
ერევანის მოედანზე
ჩვენ თავს ვიყრით ათიდანა
სპეკულიაციას ვერ დაგვთხოვთ
მოგვაჭიროთ ყელში დანა.
უნდა ტკბილათ გავატაროთ
ეს ცხოვრება წამიერი
კლუბმა ხშირათ გაიგონოს
ჩვენი მრავალჟამიერი
ვაჭრულ კომბინაციებში
ჩვენი ჭკუა გადაბმულა
და ორკესტრი უკრავს ნელა
მოდის „ლირა იზ სტამბულა“ —
აქ უნდა ფქვილი ვიყიდო
იქ გავასაღო შაქარი
იქნებ ნებართვა ვიშოვნო
სტამბოლს წავიღო ჯაგარი.
სხვებმა ხნან და სხვებმა სთესონ
ჩვენ რად გვინდა თოხი, ბარი,
სხვებმა ხნან და ჩვენ მოვიმკით
ჩვენი არის მთა და ბარი.

მალალი



სასოფლო მეურნეობა

თურქული

თურქული ძლიერ გავრცელებული ეპიზოტიაა.

ავადმყოფობის აღმძვრელი ჯერ არ არის აღმოჩენილი და უნდა ჩამითვალოს ულტრამიკროსკოპიულ ქმილებათ:

თვით გადამდები სნეულება მოთავსებულია პირის გარსის და ჩლიქის ნაპრალის (ორ ჩლიქიანთა) თურქულის ბუშტუკებში.

ავადმყოფობა გადადის ავადმყოფიდან კარგათ მყოფზე ბოსელში ან თავლაში ერთათ დგომის დროს, საძოვრებზე და სხვ. უფრო ხშირად კი, სენი გავრცელებულა ავად-მყოფის დორბლის, რძის, სნებით დასვრილი სასმელი წყლით, საკვების, ვედროს, საქონლის მომვლელის ტანისამოსის საშუალებით და სხვა.

ინკუბაციური ხანა უდრის 2-7 დღეს რის შემდეგ ავადმყოფს აძლევს სიცხეს (40°41°) ეკარგება ჭამის მადა და ნაცოხრის ამოღების უნარი.

პირის ლორწოიანი გარსი წითლდება, სივდება ხურს 1-2 დღის შემდეგ ცურის და ჩლიქების ნაპრალის კანზე ჩნდება ბუშტუკები გამჭვირვალე სითხით. ბუშტუკები მალე სქდებიან და მათ ადგილზე ჩნდებიან ზერელე, ხანდახან ვრცლად მოდებული, იარები.

ასეთი ბუშტუკები რქოსან საქონელს ჩვეულებრივად უჩნდება პირის ღრუში და ჩლიქების ნაპრალში.

ხანდახან იარები ჩნდებიან ცვირის ლორწიან გარსზე, დინგის სარკეზე, თვალის კაკალზე, რქების ფუძეზე და ცურზე.

ბოლოს შემთხვევაში ცური სივდება ფართოთ იფარება ბუშტუკებით და წითლდება; ეტყობა ტკივილი, რძე იღებს მოყვითალო ფერს, ხარშვის დროს იქრება, კარაქს არ იძლევა ჩვეულებრივი გემო და სუნი ეძლევა; თვით საქონელი ცოტა რძეს იძლევა.

ხანდახან ავადმყოფობა რთულდება ფილტვების და ჩლიქების ანთებით.

ჩლიქები ხშირად ჩირქდებიან და ჰკარგავენ თავიანთ ბუდეს. საზოგადოდ, თურქული მიმდინარეობს იოლად პირუტყვი ავადმყოფობს ერთი კვირიდან ორ კვირამდე. ამ დროს ავადმყოფი პირის ტკივილების გამო საკმაოდ ვერ სჭამს, თავისუფლათ ვერ მოძრაობს. კოჭლობის გამო ძალზე მჭლევდება და სუსტდება.

ცხენს თურქული ემჩნევა მხოლოთ პირის ღრუში, ტუჩებზე და ენაზე.

თურქულით ავად ხდებიან ფრინველებიც: მათ აყრის ბუშტუკებს ბიბილოზე, ნისკარტში, თვალზე და ფეხებზე.

გარდა ამისა მათ უსივდებათ ფეხები და სცვრებათ თითებიდან ბრჭყალები.

(გაგრძელება იქნება.)

ი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ამხ. რედაქტორო!

თქვენს პატივცემულ გაზ. „წითელ-არმიელის“ № 63-ში მოთავსებულია წერილი ამხ. ნამარველის, ქუთაისის სამხედრო კოოპერატივის გამგეობის შესახებ. ამხ. ნამარველს მოჰყავს ანგარიში ქუთაისის გარნიზონის ქართული ნაწილების გაერთიანებული კრებისა, სადაც ირჩეოდა სამხედრო კოოპერატივის საკითხი. მე არ მინდა იმ წერილს უპასუხო ყველა გამგეობის წევრების სახელით მხოლოთ მე მსურს პირადათ ჩემს შესახებ ვსთქვა ორიოდე სიტყვა.

ამხ. ნამარველი მე რომ მიცნობდეს ახლოს და იცოდეს ჩემი წარსული 32 წლის მოღვაწეობა სამსახურში, დარწმუნებული ვარ ჩემს სახელს ისე უდიერად არ მოიხსენიებდა. მე ყოველთვის მიცნობდენ, როგორც პატიოსან კაცს და მებრძოლს. მათ წინააღმდეგ ვისაც ბიუროკრატმოქმედებას შევნიშნავდი. წერილში ნათქვამია „გამგეობის კოოპერატივის თანხა დაუხარჯავს თავის ჯამაგირებში და ტფილისში სასეირნოთ დღიურების ანგარიშებში“. უნდა მოვახსენო ამხ. ნამარველს, რომ მე არც მივლინებაში ვყოფილვარ რომ დღიურები მექამა და არც მიმიღია და გამიყიდია რამე, რომ ჩამოვრჩენოდი. ჯამაგირი მივიღე მხოლოდ ტფილისში სადაც ჩემი ხარჯით წაველი (ნასესხები ფულით), იმიტომ, რომ საპატიო თავმჯდომარის კ. ოკუჯავასთვის მომეხსენებია ჩემი უმართებულათ გალანძღვის შესახებ. დასასრულ მოვახსენებ ამხ. ნამარველს და კრებაზე მოლაპარაკე ორატორებს, რომელნიც ღრმათ არ ჩაუკვირდენ საქმის შინაარსს, რომ კოოპერატივს ჰყავს სარევიზიო კომისია, ფრიად სანდო და ავტორიტეტული პირებისაგან, რომელნიც ჩემს შესახებ ყოველთვის კარგი აზრისა იყვნენ. ამის დამამტკიცებელია თუნდაც ის რომ მე მრავალჯერ ვითხოვე განთავისუფლება თანამდებობისაგან, მაგრამ არ გამანთავისუფლეს, როგორც სანდო და საჭირო კაცი.

ვლ. ლაღიძე

ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან. რედაქტორი პ. ქუთათელაძე.